

ქვემო ქართლის რეგიონის აგროეკოლოგიური მაჩვენებლების შეფასება

მაია მელაძე

maia.meladze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, თსუ, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ.

ქვემო ქართლის რეგიონში აგროკულტურების ზრდა-განვითარებას და პროდუქტიულობას ძირითადად უზრუნველყოფს აგროკლიმატური პირობები. რეგიონში რაიონების მიხედვით ჰაერის ტემპერატურის ($>10^{\circ}\text{C}$) ჯამები მერყეობს $1900-4160^{\circ}\text{C}$ საზღვრებში.

აგროკულტურების განვითარების სხვადასხვა ფაზაში ტენით უზრუნველყოფა არ არის ერთნაირი, რაც გამოწვეულია სავეგეტაციო პერიოდში ატმოსფერული ნალექების არათანაბარი განაწილებით. ასეთ პირობებში აგროკულტურები განიცდიან ტენის დეფიციტს, ეს კი გავლენას ახდენს მოსავალზე (სავეგეტაციო პერიოდში 700 მმ-ზე მეტი ატმოსფერული ნალექები არ აღინიშნება).

აგროკულტურების ზრდა-განვითარებისა და პროდუქტიულობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სითბო. აღნიშნული მაჩვენებელი რაიონების მიხედვით, სხვადასხვა სახის კულტურების წარმოებისათვის ძირითადად დამაკმაყოფილებელია.

აგროკლიმატური მაჩვენებლების საფუძველზე გამოყოფილია 5 ზონა.

I - ზონა მოიცავს გარდაბნის რაიონის ტერიტორიის აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს. ამ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ($>10^{\circ}\text{C}$) ჯამი $>4000^{\circ}\text{C}$, მრავალწლიური ატმოსფერული ნალექები $400-550$ მმ, თბილ პერიოდში $300-350$ მმ. ზონაში შეიძლება ვაწარმოოთ საადრეო და საგვიანო ვაზის ჯიშები. პერსპექტიულია მეხილეობის, მემარცვლეობის, მებოსტნეობის, ეთერზეთოვანი ტექნიკური და სხვა კულტურების წარმოება.

II - ზონა მოიცავს მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს ტერიტორიებს და ვრცელდება გარდაბნის რაიონის ჩრდილოეთით მცხეთის რაიონამდე და ჩრდილო-აღმოსავლეთით საგარეჯოს რაიონამდე. ამ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $>3000^{\circ}\text{C}$. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა $500-600$ მმ. თბილ პერიოდში $300-400$ მმ. მოცემულ ზონაში შესაძლებელია ვაზის ყველა ჯიშის წარმოება, ასევე ხეხილის, მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების.

III - ზონა მოიცავს ბოლნისის რაიონის ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით, თეთრიწყაროს და გარდაბნის რაიონებს ჩრდილოეთით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $>2000^{\circ}\text{C}$. ატმოსფერული ნალექები $600-700$ მმ, ხოლო თბილ პერიოდში $500-600$ მმ. მოცემული ზონა ხელსაყრელია მარცვლეულის, ბოსტნეულის და ზოგიერთი ხეხილოვანი კულტურების გავრცელებისათვის, აგრეთვე სათიბ-სამოვრებისათვის.

IV - ზონა მოიცავს დმანისის და წალკის რაიონების სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებს. ზონაში ტემპერატურის ჯამი მცირეა (1000° და მეტი). ატმოსფერული ნალექების ჯამია $700-800$ მმ, თბილ პერიოდში $550-560$ მმ. ამ ზონაში შესაძლებელია ზოგიერთი ხეხილოვანების, მეთამბაქოეობის და მებოსტნეობის წარმოება. პერსპექტიულია სათიბ-სამოვრების განვითარება.

V - ზონა მოიცავს დმანისის რაიონის დასავლეთ და წალკის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს. მოცემულ ზონაში ტემპერატურის ჯამი აშკარად მცირეა ($<1000^{\circ}$). ატმოსფერული ნალექების ჯამია $800-850$ მმ. პერსპექტიულია მხოლოდ ზოგიერთი ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღება. შესაძლებელია მეცხოველეობის საკვები ძირხვეწოვანი კულტურების წარმოება და სათიბ-სამოვრების განვითარება.